გორის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
განკარგულება № 12
2025 წლის 13 იანვარი
ქ. გორი

გორის მუნიციპალიტეტში ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რიცხოვნობის ზრდის შესახებ

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს კანონის ((საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 13/12/2024, სარეგისტრაციო კოდი: 010320000.05.001.102434) საფუძველზე, პირველადი სტრუქტურული ერთეულის უფროსი - საკრებულოს აპარატის უფროსი ითვლება ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირად. საქართველოს კანონის „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ 29-ე მუხლის 1-ლი პუნქტის მიხედვით, საჯარო დაწესებულებაში ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რიცხოვნობა არ უნდა აღემატებოდეს საჯარო დაწესებულების მთლიანი საშტატო რიცხოვნობის 10%-ს. ამ შეზღუდვიდან გამონაკლისი დაიშვება საჯარო დაწესებულების გადაწყვეტილებით, საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საჯარო სამსახურის ბიუროს რეკომენდაციების გათვალისწინებით.

გორის მუნიციპალიტეტის მერიის და საკრებულოს აპარატის მთლიანი საშტატო რიცხოვნობა შეადგენს 307.848 ერთეულს, ხოლო აღნიშნულის 10 % არის 30.785 ერთეული. გორის მუნიციპალიტეტის მერიაში ამ ეტაპზე ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულია 101 პირი, ხოლო გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოში - არცერთი.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საჯარო სამსახურის ბიუროს 2024 წლის 30 დეკემბრის №817 წერილით გაიცა რეკომენდაცია „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში 2024 წლის 13 დეკემბერს შესული ცვლილებით (დოკუმენტის ნომერი 165-Iმს-XIმპ, ვებგვერდი 29/12/2024, სარეგისტრაციო კოდი 010320000.05.001.102434) პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის სამართლებრივი სტატუსის შეცვლის და მათი გარდაქმნის გამო ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირებად, „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის შესაბამისად, საჯარო დაწესებულებამ მოცემულ შემთხვევაში მიიღოს გადაწყვეტილება საჯარო დაწესებულებაში ადმინისტრაციულ ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რიცხოვნობის ზრდასთან მიმართებაში.

ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებებისა და სამართლებრივი ნორმების გათვალისწინებით, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია გორის მუნიციპალიტეტში ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის გაზრდის შესახებ - ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირის - საკრებულოს აპარატის უფროსის თაობაზე გადაწყვეტილების მიღება.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, საქართველოს კანონის „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ 29-ე მუხლის 1-ლი პუნქტის და საჯარო სამართლის

იურიდიული პირის – საჯარო სამსახურის ბიუროს 2024 წლის 30 დეკემბრის №817 წერილით გაცემული რეკომენდაციის შესაბამისად, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. გაიზარდოს გორის მუნიციპალიტეტში ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რიცხოვნობა 1 (ერთი) ერთეულით - ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირის - საკრებულოს აპარატის უფროსის გამო.

2. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე **დავით რაზმაძე**